სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის **შვიდ აგვისტოს** მე, საქართველოს ნოტარიუს ანნა როინიშვილის (რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, პეკინის გამზ. №5, მეოთხე სართული) შემცვლელ პირს **გულნარა არველაძეს** მომმართეს **მაკა ქექნაძემ, ნაილე ზაველურმა და გიორგი გიორგაძემ.** მათ მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მაკა ქექნაძემ** (დაბადებული 11.04.1968წ. ამბროლაურში, პირადი №01003005046, პირადობის მოწმობა №11IA73128, გაცემული 22.11.2011წ., რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ო. ონიაშვილის ქ. 2, ბ. 8), **ნაილე ზაველურმა** (დაბადებული 01.01.1942წ. თიანეთში, პირადი №01021014040, პირადობის მოწმობა №გ 0437771, გაცემული 28.12.2003წ. გლდანი-ნაძალადევის შს მე-6 განყოფილების მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, თემქა, 3 მ/რ, 5 კვ., კორპ. 16, ბ. 30) და **გიორგი გიორგაძემ** (დაბადებული 21.12.1989წ. გარდაბანში, პირადი №01017039101, პირადობის მოწმობა №ა 1024724, გაცემული 29.12.2006წ. სრს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას მე-2 შეს. №9) მომმართეს. მე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მარწმუნებლებს და განვუმარტე მისი შინაარსი. მარწმუნებლებმა წაიკითხეს მინდობილობა, დაადასტურეს, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ცამეტი წლის **შვიდ აგვისტოს** ამ მინდობილობით ჩვენ, **მაკა ქექნაძე, ნაილე ზაველური და გიორგი გიორგაძე** ვენდობი **მინდია მურვანიძეს** (დაბადებული 20.08.1975წ. ბათუმში, პირადი №61002003620, პირადობის მოწმობა №ა 0843378, გაცემული 08.02.2006წ. სრს ბათუმის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ბათუმი, ასლან აბაშიძის ქ. №7, ბ. 51) იყოს ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის ქ. თბილისის მერიაში, მერიის ურბანული დაგეგმარების და ზედამხედველობის სამსახურში, მერიის იურიდიულ სამსახურში, არქიტექტურაში, არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, ქონების მართვის დეპარტამენტში, თვითმმართველობის ორგანოებში, მუნიციპალიტეტის ორგანოებში, ნებისმიერ არქივში საბუთების გამოთხოვისა და მიღების უფლებით, შეიტანოს ჩვენი სახელით ყველა სახის განცხადებები და ხელი მოაწეროს მათ, საჭიროების შემთხვევაში გადაიხადოს გადასახადები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს დოკუმენტაცია, მათ შორის აზომვითი ნახაზები, პროექტი და ნებართვა, მიიღოს დამტკიცებული პროექტი და ნებართვა, ხელი მოაწეროს საჭირო საბუთებს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაშია ორიათას ცამეტი წლის შვიდ ნოემბრამდე.

მინდობილობა შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანნა როინიშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო სამი გადაეცა მარწმუნებლებს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 30,0 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 31-ე მუხლისა და სანოტარო მოქმედებათა წესის შესრულების შესახებ ინსტრუქციის 52.5 მუხლისა, ავრეთვე სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2,0 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. №507 დადგენილების 39.1 მუხლისა; სულ 32,0 ლარი.

მარწმუნებელი: მაკა ქექნაძე

მარწმუნებელი: ნაილე ზაველური

მარწმუნებელი: გიორგი გიორგაძე

ნოტარიუსის
შემცვლელი პირი გულნარა არველაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

37225639005513

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130802533

რეგისტრაციის თარიღი

07.08.2013 წ

ნოტარიუსი: ანნა როინიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 5, IV სართული
ტელეფონი: 2 - 36 40 32

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18